

დანართი

თავი I. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ძირითადი მაჩვენებლები მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	23 573,7	24 724,5	10 796,1	13 928,4	29 767,6	13 876,3	15 891,3
გადასახადები	10 138,6	10 203,8	0,0	10 203,8	13 758,6	0,0	13 758,6
გრანტები	12 515,1	13 848,8	10 796,1	3 052,7	13 967,3	13 876,3	91,0
სხვა შემოსავლები	920,0	671,8	0,0	671,8	2 041,7	0,0	2 041,7
ხარჯები	12 458,3	14 595,1	2 192,6	12 402,6	18 177,7	2 584,5	15 593,2
შრომის ანაზღაურება	2 555,6	2 867,6	114,7	2 752,9	3 076,2	0,0	3 076,2
საქონელი და მომსახურება	2 725,0	3 088,1	1 634,7	1 453,4	3 716,5	1 807,1	1 909,3
პროცენტი	25,2	18,6	0,0	18,6	13,0	0,0	13,0
სუბსიდიები	5 505,9	6 726,9	123,5	6 603,3	7 996,8	178,4	7 818,4
გრანტები	33,9	42,0	0,0	42,0	42,1	0,0	42,1
სოციალური უზრუნველყოფა	1 272,1	1 240,4	10,8	1 229,6	2 090,3	20,0	2 070,3
სხვა ხარჯები	340,5	611,6	308,9	302,7	1 242,8	578,9	663,9
საოპერაციო სალდო	11 115,5	10 129,3	8 603,5	1 525,9	11 589,9	11 291,8	298,1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	12 728,9	8 875,8	8 063,3	812,5	14 416,9	12 676,0	1 740,9
ზრდა	12 739,4	8 890,7	8 063,3	827,4	14 616,9	12 676,0	1 940,9
კლება	10,4	15,0	0,0	15,0	200,0	0,0	200,0
მთლიანი სალდო	-1 613,5	1 253,6	540,2	713,4	-2 827,0	-1 384,2	-1 442,8
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 664,4	1 202,6	540,2	662,4	-2 879,0	-1 384,2	-1 494,8
კლება	1 664,4	-1 202,6	-540,2	-662,4	2 879,0	1 384,2	1 494,8
ვალდებულებების ცვლილება	-50,9	-50,9	0,0	-50,9	-52,0	0,0	-52,0
კლება	50,9	50,9	0,0	50,9	52,0	0,0	52,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	23 584,2	24 739,4	10 796,1	13 943,4	29 967,6	13 876,3	16 091,3
შემოსავლები	23 573,7	24 724,5	10 796,1	13 928,4	29 767,6	13 876,3	15 891,3
არაფინანსური აქტივების კლება	10,4	50,0	0,0	50,0	200,0		200,0
გადასახდელები	25 260,5	23 536,8	10 255,9	13 280,9	32 846,6	15 260,5	17 586,1
ხარჯები	12 470,2	14 595,1	2 192,6	12 402,6	18 177,7	2 584,5	15 593,2
არაფინანსური აქტივების ზრდა	12 739,4	8 890,7	8 063,3	827,4	14 616,9	12 676,0	1 940,9
ვალდებულებების კლება	50,9	52,0		52,0	52,0	0,0	52,0
ნაშთის ცვლილება	-1,664.4	1,202.6	540.2	662.4	-2,879.0	-1,384.2	-1,494.8

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 29 767.6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	23 573,7	24 724,5	10 796,1	13 928,4	29 767,6	13 876,3	15 891,3
გადასახადები	10 138,6	10 203,8	0,0	10 203,8	13 758,6	0,0	13 758,6
გრანტები	12 515,1	13 848,8	10 796,1	3 052,7	13 967,3	13 876,3	91,0
სხვა შემოსავლები	920,0	671,8	0,0	671,8	2 041,7	0,0	2 041,7

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 13 758,6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	10 138,6	10 218,4	0,0	10 218,4	13 758,6		13 758,6
ქონების გადასახადი	2 491,9	1 600,0	0,0	1 600,0	4 400,0		4 400,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	796,5	210,0		210,0	3 050,0		3 050,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	900,5	590,0		590,0	590,0		590,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	6,7		0,0	0,0			0,0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	6,7						
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	12,7	0,0	0,0	0,0	0,0		0,0
ფიზიკურ პირებიდან	10,5	0,0			0,0		
იურიდიულ პირებიდან	2,2	0,0			0,0		
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	775,6	800,0	0,0	800,0	760,0		760,0
ფიზიკურ პირებიდან	13,2	0,0			0,0		
იურიდიულ პირებიდან	762,4	800,0		800,0	760,0		760,0
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	7 646,6	8 618,4		8 618,4	9 358,6		9 358,6
საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	7 646,6	8 618,4		8 618,4	9 358,6		9 358,6
დამატებული ღირებულების გადასახადი	7 646,6	8 618,4		8 618,4	9 358,6		9 358,6

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 13 967.3 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	12 515,1	13 848,8	10 796,1	3 052,7	13 967,3	13 876,3	91,0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	165,8	0,0			91,0		91,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	12 349,3	13 848,8	10 796,1	3 052,7	13 876,3	13 876,3	0,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	986,8	1 257,4	1 257,4	0,0	1 282,8	1 282,8	0,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	986,8	240,0	240,0	0,0	198,4	198,4	
ტრანსფერები ცენტრალური სსიპ-ებიდან	0,0	1 017,4	1 017,4		1 084,4	1 084,4	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	11 362,5	12 591,4	9 538,6	3 052,7	12 593,5	12 593,5	0,0

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავლები
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	6 270,4	6 261,7	6 261,7		8 620,7	8 620,713	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	890,0	890,0	890,0		890,0	890,0	
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	708,2	689,7	689,7		907,8	907,8	
საპეციალური ტრანსფერი	971,0	1 246,8	1 246,8		1 625,0	1 625,0	
საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების ფონდი		3 350,0	297,3	3 052,7	0,0		
დღეღივებით სკოლების რეაბილიტაცია	2 522,9	153,2	153,2		0,0		
სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტი გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან					550,0	550,0	
„საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“					550,0	550,0	

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 2 041,7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტით	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	920,0	1 294,0	0,0	1 294,0	2 041,7		2 041,7
შემოსავლები საკუთრებიდან	133,2	165,0	0,0	165,0	170,0		170,0
პროცენტები	18,9	50,0		50,0	60,0		60,0
რენტა	114,3	115,0	0,0	115,0	110,0		110,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	82,7	70,0		70,0	70,0		70,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	31,6	45,0		45,0	40,0		40,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	70,5	60,0	0,0	60,0	95,0		95,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	70,5	60,0	0,0	60,0	95,0		95,0
სანებართვო მოსაკრებელი	5,3	5,0		5,0	5,0		5,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	65,2	55,0		55,0	90,0		90,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	614,0	1 069,0		1 069,0	1 776,7		1 776,7
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	47,1	0,0					
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (წინა წელს გადარიცხული და მიმდინარე წელს უკან დაბრუნებული სახსრები)	55,1	0,0			0,0		0,0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 18 177,7 ათასი ლარით

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
------------	-----------	-----------------	-----------------

	ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	12 458,3	14 595,1	2 192,6	12 402,6	18 177,7	2 584,5	15 593,2
შრომის ანაზღაურება	2 555,6	2 867,6	114,7	2 752,9	3 076,2	0,0	3 076,2
საქონელი და მომსახურება	2 725,0	3 088,1	1 634,7	1 453,4	3 716,5	1 807,1	1 909,3
პროცენტი	25,2	18,6	0,0	18,6	13,0	0,0	13,0
სუბსიდიები	5 505,9	6 726,9	123,5	6 603,3	7 996,8	178,4	7 818,4
გრანტები	33,9	42,0	0,0	42,0	42,1	0,0	42,1
სოციალური უზრუნველყოფა	1 272,1	1 240,4	10,8	1 229,6	2 090,3	20,0	2 070,3
სხვა ხარჯები	340,5	611,6	308,9	302,7	1 242,8	578,9	663,9

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 14 416.9 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 14 616.9 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 200,0 თასი ლარით:

ათას ლარში

პროგრ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	177,3	85,8	144,3
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	177,3	85,8	144,3
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	11 526,3	8 462,1	13 819,5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	8 570,1	7510,8	10 930,1
02 02	წყლის სისტემის განვითარება	45,6	49,2	1 127,0
02 03	გარე განათება	0,0	0,4	50,0
02 05	კეთილმოწყობა	1 599,0	212,2	186,0
02 09	სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	555,4	689,5	587,2
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	34,0	4,4	6,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	34,0	4,4	6,0
04 00	განათლება	796,8	203,9	71,5
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	18,5	33,8	17,3
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	642,2	0,0	53,6
04 04	სკოლების რეაბილიტაცია	120,8	165,4	0,0
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლეთა სახლი)	15,3	4,7	0,6
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	175,6	134,5	572,7
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	147,1	116,8	527,3
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	26,7	14,2	41,2
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	1,8	3,5	4,2
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	29,4	0,0	2,9
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0
06 02	ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	11,1	0,0	0,0
06 03	სოციალური დაცვა	17,8	0,0	2,9
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	12 739,4	8 890,7	14 616,9

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	10,4	50,0	200,0
ძირითადი აქტივები	2,0	30,0	90,0
არაწარმოებული აქტივები	8,4	20,0	110,0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით

ათას ლარში

ფუნქც. კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 010,9	4 339,3	4 950,9
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 010,9	4 339,3	4 950,9
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3 985,7	4 320,7	4 881,8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	25,2	18,6	69,1
702	თავდაცვა	0,0	0,0	0,0

ნ.პ.ს.ი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
704	ეკონომიკური საქმიანობა	10 638,3	8 723,2	13 449,8
70421	სოფლის მეურნეობა	0,0	0,0	0,0
7045	ტრანსპორტი	10 638,3	8 723,2	13 449,8
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	10 638,3	8 723,2	13 449,8
705	გარემოს დაცვა	1 351,1	1 557,2	2 097,9
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1 351,1	1 165,6	2 097,9
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1 970,7	659,1	2 147,0
7061	ბინათმშენებლობა	32,6	100,3	285,1
7063	წყალმომარაგება	45,7	78,2	1 265,0
7064	გარე განათება	281,2	268,4	410,9
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 611,2	212,2	186,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	212,6	231,4	260,4
7072	ამბულატორიული მომსახურება	16,4	1,6	0,0
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	16,4	1,6	0,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	196,2	229,8	260,4
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 788,4	2 352,7	2 848,7
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	635,4	707,8	1 177,7
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 035,4	1 494,6	1 479,6
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	73,7	94,4	101,4
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	43,9	55,9	90,0
709	განათლება	3 606,1	3 749,8	4 043,5
7091	სკოლამდელი აღზრდა	2 374,5	2 243,3	2 602,0
7092	ზოგადი განათლება	1 055,3	1 297,8	1 213,5
70923	საშუალო ზოგადი განათლება	1 055,3	1 297,8	1 213,5
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	176,2	208,6	228,0
710	სოციალური დაცვა	1 631,5	1 873,0	2 996,4
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	626,5	574,5	807,4
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	577,3	510,6	717,4
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	49,2	63,9	90,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1,0	0,0	4,0
7103	მარჩენილდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	3,1	38,0	57,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	581,0	553,8	1 041,0
7106	საცხოვრებელი უზრუნველყოფა	155,1	306,1	636,3
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	10,4	13,4	21,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	254,4	387,3	429,7
	სულ	25 209,6	23 485,9	32 794,6

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს - 2 827,0 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 11 587.1 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	11 115,5	10 129,3	11 587,1
მთლიანი სალდო	- 1 613,5	1 253,6	- 2 827,0

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს - 2 879,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 1 664,4	1 202,6	- 2 879,0
ზრდა	0,0	0,0	0,0
კლება	1 664,4	-1 202,6	2 879, 0

ფინანსური აქტივების კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც ხდება 2024 წლის განმავლობაში.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 52.0 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ათ წლიანი სასესიო

ვალდებულებები ჯამში (პროცენტის ჩათვლით) შეადგენდა 532 952 ლარს, აქედან სესხის სახით გადასახდელი იყო 356 455 ლარი. მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად იხდის გადასახადს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად, სესხის დაფარვის გრაფიკის მიხედვით. რომელიც წლის მანძილზე ხორციელდება ორ ეტაპად: 28 აპრილს და 28 ოქტომბერს. დღეის მდგომარეობით სულ დაფარულია 465,7 ათასი ლარი, აქედან 280,1 ათ. ლარი სესხის და 185,6 ათ. ლარი პროცენტის სახით.

ათას ლარებში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	- 50,9	- 50,9	-52,0
კლება	50,9	50,9	52,0
საშინაო	50,9	50,9	52,0
სესხები	50,9	50,9	52,0

თავი II. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები,

პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები.

მუხლი 13. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები,

პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები.

განისაზღვროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები (პროგრამული კლასიფიკაციის პირველი დონე), მათ ფარგლებში განსაზღვრული პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და შემდგომი დონეები) შემდეგი რედაქციით:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

დასუფთავება და გარემოს დაცვა;

განათლება;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

1. პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა/ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	15 596,8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	12 378,4
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	11 148,8
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	320,5
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	218,0
02 01 04	ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია	532,5
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	158,6
02 02	წყლის სისტემის განვითარება	1 265,0
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	201,4
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა)	1 063,6
02 03	გარე განათება	410,9
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	410,9
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	285,1
02 05	კეთილმოწყობა	186,0
02 05 03	კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	186,0
02 09	სოფლის მხარდაჭერი პროგრამა	1 071,4

ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც რჩება მუნიციპალიტეტის ერთერთ ძირითად პრიორიტეტად, პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება,

მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია, მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება, როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების, ხიდებისა და ხიდ-ბოგირების, ნაპირსამაგრების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება გზების მიმდინარე შეკეთებას, საპროექტო და საექსპერტო-მონიტორინგის ხარჯების ანაზღაურებას. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 67% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ოთხი ქვეპროგრამა: გზების კაპიტალურ შეკეთება, გზების მიმდინარე შეკეთება, ხიდების, ბოგირების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

პროგრამის მიზანია მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. მ.შ. საბავშვო ეტლით მოსარგებლეებისათვის და შშმ პირებისათვის ადაპტირებული, ქალების, ბავშვების, ხანდაზმულთა კომფორტული, უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება, მგზავრობის დროის და სატრანსპორტო დანახარჯების დაზოგვა, დაბაში მაცხოვრებელთათვის და ტურისტებისათვის ტრანსპორტისა და ფეხით გადაადგილებისას მაღალი კომფორტის შექმნა, ხმაურისა და გარემოს დაბინძურების შემცირება.

გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: მიზანი 3 -ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის. მიზანი 5- გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება. მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა. მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.1.1 გზების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. სამუშაოების მოცულობა დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერზე. ბოლო წლების განმავლობაში, საშუალოდ წლის განმავლობაში, კაპიტალური რეაბილიტაცია უტარდება 32 000 გრძ/მ გზას. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში

წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით, ამასთან დაგეგმარების პროცესში გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროცესში ყურადღება მიექცევა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს, რათა მათთვის თანაბარ ხელმისაწვდომი გარემოს შეიქმნას.

ქვეპროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა. გზების და ტროტუარების საფარის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში შენარჩუნება-გაუმჯობესება, ქვეითად მოსიარულეთა, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის პირობების შექმნა. გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის. მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება. მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.1.2 გზების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არსებული შიდა მუნიციპალური გზების გასწორხაზოვნება და მრავალწლიანი და ერთობლივი შესყიდვის ფარგლებში გზების მოვლა. გზების მიმდინარე შეკეთების ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული გზების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმოული შეკეთება), ასევე, არასაფალტირებული გზების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას. წლის განმავლობაში საშუალოდ ხორციელდება 117 000 კვ/მ გზის მიმდინარე შეკეთება. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება და მოვლა-პატრონობა. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის. მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება. მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.1.2.¹ საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდება ვიდეო-სათვალთვალო კამერების შეძენა და მოვლა-პატრონობა. ქვეპროგრამის მიზანია ავტოტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა (ბავშვები, ქალები, მამაკაცები, შშმ პირები) მოწესრიგებული გადაადგილება და უსაფრთხოების გაზრდა. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის. მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.1.3 ხიდების, ბოგილების მშენებლობა რეაბილიტაცია (კოდი 02 01 04)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის და შიდა გზებზე არსებული ხიდების რაოდენობა შეადგენს 30 ერთეულს, მათგან რეაბილიტაციას საჭიროებს 3 ერთეული. 2024 წელს დაგეგმილია და მომზადებულია საპროექტო დოკუმენტაცია 3 ხიდის მოწყობაზე.

ქვეპროგრამის მიზანია დაზიანებული ხიდების კაპიტალური აღდგენა-რეაბილიტაცია. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის

უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის. მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.1.4 მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები მოხმარდება ტრანსპორტით დაქირავების ხარჯებს დაბა ხარაგაულის ცენტრიდან სხვადასხვა სოფლის ცენტრებამდე. ქვეპროგრამით ფინანსდება ხარაგაული-რკინიგზის სადგური-საავადმყოფო-თეთრაწყარო-კიციხი-ფარცხნალი, ნადაბური-ხევი-ხარაგაული-ხევი-ნადაბური, ხარაგაული-მოლითი-ზვარის, ხარაგაული - სხლითის და ხარაგაული - ვახანისა და უბისა- ხუნევის მიმართულებები. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამართული ფუნქციონირება გენდერულად მნიშვნელოვანია, ტრანსპორტის შეუფერხებელი მომსახურება ხელს უწყობს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალების, ბავშვების, ახალგაზრდებისა და მოხუცების სოფლებიდან დაბაში გადაადგილებას სხვადასხვა სერვისების მისაღებად.

ქვეპროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დაბასა და სოფლებს შორის მოსახლეობის გადაადგილების ხელშეწყობა. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 3: -ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის. მიზანი 5-გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება. მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.2. წყლის სისტემის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება ორი ქვეპროგრამისაგან: სასმელი წყლით უზრუნველყოფა; საკანალიზაციო სისტემის განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა).

საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახრებით. ზოგიერთ შემთხვევაში კი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდანაც. აღნიშნული პროგრამით ეწყობა ჭაბურღილები, პროგრამა ასევე ითვალისწინებს დაბა ხარაგაულში და სოფლებში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას.

წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული საჭიროებები და სამუშაოების განხორციელების შედეგად მოეწყობა გენდერულად მგრძნობიარე ინფრასტრუქტურა. წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შედეგად გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისათვის.

პროგრამის მიზანია წყლის სისტემების და სანიაღვრე არხების გამართული ფუნქციონირება, სადრენაჟე ქსელის მოწესრიგება. მოსახლეობის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება, წყლის მოხმარების დონის ამაღლება ოჯახებში. წყლის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი

წყალმომარაგების უზრუნველყოფა. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა

მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება. მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა. მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.2.1 სასმელი წყლით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ტარდება წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდა და დაზიანების აღმოფხვრა. რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში შეძენილია წყლის ტუმბო და გენერატორი. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; ჭაბურღილების მოწყობა სოფლებში. ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; დაფინანსების წყაროა მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი სახსრები, ასევე რეგიონალური განვითარების ფონდიდან სოფელ სარგვეშში მოწყობა წყლის სისტემა. ქვეპროგრამის მიზანია წყალმომარაგების სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

(გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა

მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება.

მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა. მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.2.2. კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე და მდინარის ნაპირსამაგრების მოწყობა) (პროგრამული კოდი 02 02 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დაბასა და სოფლებში სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობას (ექსპლოატაცია), მიმდინარე შეკეთებას, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმომღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმომღებების მოწყობას, კიუვეტების გაწმენდას. პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა. სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლოატაციისა და სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეკონსტრუქციის ღონისძიებები.

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის სანიაღვრე სისტემის გაფართოება და გამტარუნარიანობის გაუმჯობესება მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურის დაცვა შესაძლო სტიქიური წყალმოვარდნებისაგან, სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება დაბის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა. დატბორილი ადგილების აღმოფხვრა, ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა

მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა. მიზანი 11- ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.3. გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამა ითვალისწინებს ქუჩების, მოედნების, სკვერების განათებას, გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და ექსპლოატაციას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება

გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია—განვითარება, არსებული ნათურების ეკონომიური ახალი ლედ ტიპის ნათურებით ჩანაცვლება ელექტროენერგიის ხარჯის შემცირების მიზნით. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, განათების ახალი წერტილების მოწყობა.

პროგრამის მიზანია გარე განათების ქსელმა ეტაპობრივად სრულად მოიცვას დასახლებული ადგილები. ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება. კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამამიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.3.1 გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 03 01)

გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 65 %. იგი მოიცავს 2 730-ზე მეტს განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, ამის გარდა 800 -ზე მეტ სანათ წერტილს, 95 550 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. ქვეპროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 147,0 ათასი ლარი ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას). ქვეპროგრამისთვის გამოყოფილი ასიგნებები ასევე მოიცავს პერსონალის ხელფასს, მ. შ. ადმინისტრაციის ელექტრიკოსების და მძღოლების.

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება. კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამამიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.4. მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადებისა და კიბის უჯრედების მოწესრიგება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 16 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, აქედან 11 არის დაბაში და 7 მოლითში, წიფასა და დიდვაკეში. აღნიშნული სახლების 60 %-ის ფასადები საჭიროებს რემონტს. წინა წლებში მრავალბინიანი სახლების 1%-ს შეეცვალა დაზიანებული სახურავი, შეკეთდა სახურავები.

პროგრამის მიზანია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამამიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.5. კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 05)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 34 ერთეული, საერთო 8700 კვმ ფართობის სკვერი და პარკი. მ.შ. დაბის ტერიტორიაზე 11 ერთეული, 6400 კვმ საერთო ფართობის ღია სივრცე. რეაბილიტირებული სკვერებისა და პარკების წილი შეადგენს 80 %-ს. პროგრამის ფარგლებში, სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის მიზნით ხორციელდება სკვერებში და პარკებში მწვანე სივრცეების, ფეხით მოსიარულეთა ბილიკების, ატრაქციონების, ფანჩატურების და სხვა დასვენების და გართობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. 2024 წელს გაგრძელდება სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა. სკვერებისა და პარკების მოწყობის დროს გათვალისწინებული

იქნება ქალთა და ბავშვთა, შშმ პირების, ახალგაზრდების, მოხუცების, კაცების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საჭიროებები.

მიზანი: მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა და სტუმრებისათვის დასვენებისა და გართობის მიზნით ღია საზოგადოებრივი სივრცეების შექმნა. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.5.1 კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 05 03)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში, სკერებისა და პარკების კეთილმოწყობის მიზნით ხორციელდება სკვერებში და პარკებში მწვანე სივრცეების, ფეხითმოსიარულეთა ბილიკების, ატრაქციონების, ფანჯატურების და სხვა დასვენების და გართობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. 2024 წელს გაგრძელდება სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა.ა. სკვერებისა და პარკების მოწყობის დროს გათვალისწინებული იქნება ქალთა და ბავშვთა, შშმ პირების, ახალგაზრდების, მოხუცების, კაცების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საჭიროებები.

მიზანი: მოსახლეობის დასვენებისა და გართობის მიზნით მოწესრიგებული, კეთილმოწყობილი და მიმზიდველი გარემოს შექმნა. სკვერებისა და პარკების მოწყობის დროს გათვალისწინებული იქნება ქალთა და ბავშვთა, შშმ პირების, ახალგაზრდების, მოხუცების, კაცების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საჭიროებები. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

1.6. სოფლის მხარდაჭერი პროგრამა (პროგრამული კოდი 02 09)

პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრებით, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესების მიზნით, მათი მოთხოვნების შესაბამისად ხდება განსახორციელებელი პრიორიტეტების შერჩევა, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა მონაწილეობა, რათა შეხვედრების დროს გამოვლინდეს როგორც კაცებისა და ბიჭების, ასევე ქალებისა და გოგონების საჭიროებები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით, რომელიც სპეციალური ფორმულით ნაწილდება მუნიციპალიტეტში არსებულ სოფლებზე. ასევე მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით ხდება თანადაფინანსება. შესასრულებელი პროექტების განსაზღვრა ხდება სოფლის კრებების შესაბამისად და ხორციელდება მერიის და მოსახლეობის მიერ, სადაც გათვალისწინებულია გენდრული ასპრექტები.

პროგრამის მიზანი: სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესება (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა. მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა. მიზანი 11- ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

2. პრიორიტეტი: დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა/ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2 097,9

03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1 847,0
03 02	მწვანე ნარჩენების მოვლა-პატრონობა	241,9
03 03	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	9,0

პრიორიტეტის ფარგლებში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება-გაუმჯობესების და ეკიდემიური დაავადებებისგან თავის დაცვის მიზნით, განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება, სასოფლაცხოვრო ნარჩენების, ქუჩებისა გზების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება, ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაბაში მოძრაობის აღკვეთა. დამატებითი ურნების დადგმა, არსებული მწვანე საფარის მოვლა-შენარჩუნება და ზრდა, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში და დაბის ტერიტორიაზე ბალახის გათიბვა.

2.1. დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და განთავსება ნაგავსაყრელზე. დაბის, პატარა ხარაგაულისა და სოფლების ტერიტორიული ერთეულის ცენტრალური ადგილების, ტროტუარების, სკვერების, გაზონების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება დაბასა და პატარა ხარაგაულში მცხოვრები 3426 კომლიდან და მუნიციპალიტეტის 19 ტერიტორიულ ერთეულის მოსახლეობიდან. ასევე ნარჩენების გატანა კომერციული სტრუქტურებიდან, სულ 250-მდე ობიექტიდან. მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის სისტემის გამართული ფუნქციონირება მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ძირითადად ქალები არიან ჩართული საოჯახო საქმეებში და მათი არაანაზღაურებადი შრომის ნაწილია საყოფაცხოვრო ნარჩენებზე ზრუნვა.

პროგრამის ფარგლებში ასევე ფუნქციონირებს წყალანირების ჯგუფი, რომელიც ემსახურება დაბისა და პატარა ხარაგაულის ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო სისტემების, როგორც დაზიანებული კვანძების აღმოფხვრას, ასევე მცირე ზომის ახალი საკანალიზაციო სისტემის მოწყობას. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდას წელიწადში 2-ჯერ მაინც, შემოდგომასა და გაზაფხულის სეზონზე, ასევე ახალი არხების მოწყობას საჭიროების მიხედვით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ა(ა)ი.პ-ს წესდებით განსაზღვრული აქვს ზამთრის სეზონზე მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ცენტრალური, სასოფლო და საუბნო გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა. ასევე მთელი წლის განმავლობაში აღნიშნულ გზებზე ჩამოშლილი მიწისა და ქვა-ღორღისაგან გაწმენდა, რომელსაც ემსახურება 1(ერთი)ერთეული გრეიდერი, ერთი თვლებიანი ტრაქტორი და საჭიროების შემთხვევაში ხდება სხვა ტექნიკის დაქირავება.

პროგრამის მიზანს წამოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება, დაბაში პირუტყვის მოძრაობის აღკვეთა და ზამთრის სეზონზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 11- ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

2.2. მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

დაბის იერსახის მოწესრიგებისა და ეკოლოგიაზე ზრუნვის ფარგლებში განხორციელდება არსებული მწვანე საფარის მოვლა-შენარჩუნება და ზრდა, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში და ქალაქის ტერიტორიაზე ბალახის გათიბვა, ხეების შეთეთრება და მოჭრა-გადაბეღვა.

პროგრამის განხორციელების მიზანს წარმოადგენს დაბის იერსახის შენარჩუნება-გაუმჯობესება და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მოწესრიგება. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 1-ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

2.3. უპატრონო ცხოველების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ხორციელდება მაწანწალა ძაღლების აყვანა, დაჭერა და იზოლაცია. (დაჭერა უნდა განხორციელდეს თანამედროვე ძაღლსაჭერით და უმტკივნეულოდ, სათანადო ხელსაწყოებით, სპეციალური აღჭურვილობითა და ეკიპირებით. გადაყვანა უნდა მოხდეს სათანადო მოწყობილობით აღჭურვილი ავტომობილით დროებით თავშესაფარში, სათანადო ვეტერინარული ღონისძიებების გატარების შემდგომ / ჯანმრთელი ძაღლებისათვის კასტრაცია/ სტერილიზაციის ჩატარება, რათა არ მოხდეს მათი გამრავლება/, ჯანმრთელი ძაღლების დანომვრა და მოსახლეობის მოთხოვნის, ან მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ცხოველების დაბრუნება ბუნებრივ არეალში, ან პირვანდელ საცხოვრებელ ადგილზე.

პროგრამის მიზანია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქუჩებში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი, ქალების, ბავშვების, ხანდაზმულთა უსაფრთხო გადაადგილება. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 11- ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება).

4. პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა/ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
04 00	განათლება	4 043,5
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2 515,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	87,0
04 03	მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	1 084,4
04 05	ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	129,1
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	228,0

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ აღზრდას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების გამართული ფუნქციონირება და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში ხდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე განათლების ღონის ამძღვრების ხელშეწყობა. ასევე პრიორიტეტის ფარგლებში ფინანსდება ბორის საჯარო სკოლის ბაზაზე არსებული პანსიონური მომსახურება. ამასთან ერთად სასკოლო განათლების ხელშეწყობის მიზნით მთავრობის განკარგულების შესაბამისად დელიგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება რამდენიმე საჯარო სკოლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და ხდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება

3.1. სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებათა გაერთიანება უზრუნველყოფს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰარმონიული განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას. ის ითვალისწინებს ბავშვის ფიზიკური განვითარების, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას. ხელს უწყობს ინდივიდუალური და ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას. 2024 წლისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ

დაწესებულებათა გაერთიანებაში იფუნქციონერებს 21 საბავშვი ბაღი და ერთი სკოლისათვის მზაობის ჯგუფი 470 აღსაზრდელით. დასაქმებულია 272 საშტატო და 13 შტატგარეშე თანამშრომელი. მათ შორის დასაქმებულია 23 მამაკაცი სხვადასხვა პოზიციაზე. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და საადმინისტრაციო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.

პროგრამის მიზანია საადმინისტრაციო მეთოდოლოგიის საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტებით განხორციელება. კვებით უზრუნველყოფა. აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაღების ინფრასტრუქტურის (შენობა, ეზო, ინვენტარი და სხვა) მოწყობა განვითარება. დასაქმებულთა შრომის პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება და საჭირო კურსების მომსახურების შესყიდვა. სახანძრო უსაფრთხოების, ჰიგიენური ნორმების დაცვა, კვების ბლოკების და საწყობების შესაბამისად მოწყობა. მაღალი ხარისხის აღჭურვილობის შეძენა/მონტაჟი და უსაფრთხო გარემოს დაცვა. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის).

3.2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, გულისხმობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, საპროექტო-სახარჯთაარრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების დაფინანსებას და საზედამხედველო სამუშაოების შესყიდვას. პროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ბავშვებისათვის კომფორტული გარემოს შექმნა. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის).

3.3 სკოლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის 17-ე მუხლის შესაბამისად დელეგირებული ფუნქციის შესარულებას, რომელიც თავისმხრივ მოიცავს საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს, მ. შ. საჭიროების შემთხვევაში საკუთარი სახრების თანადაფინანსებით.

პროგრამის მიზანია რეაბილიტირებული და ადაპტირებული გარემო საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის).

3.4. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (სკოლა-პანსიონი) (პროგრამული კოდი 04 05)

აღწერა: ბორის საჯარო სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სწავლას ახორციელებს, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. შესულია საჯარო სკოლის წესდების N 448 ბრძანების მესამე დანართში და ბავშვებს სთავაზობს პანსიონურ მომსახურებას ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ადგილობრივი ბიუჯეტის თანხები მთლიანად ხმარდება სკოლას პანსიონური მომსახურების განსახორციელებლად, პანსიონში ღამეს ათევს 12 მოსწავლე. მათ შორის არიან უკიდურესად გაჭირვებული, ობოლი და მზრუნველობა მოკლებული ბავშვები. საჯარო სკოლის 48 თანამშრომელიდან 24 ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება,

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით სკოლა იზიდავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სკოლაში სკოლის პანსიონური ტიპიდან გამომდინარე შემოდის და გარდა სკოლაში დამრჩენი 12 ბავშვისა, სკოლის ყველა მოსწავლეს უწევს დახმარებას, რაც საშუალებას გვაძლევს სკოლის ყველა მოსწავლემ უფასოდ იკვებოს. ბავშვებს რეგულარულად უტარდებათ უფასო სამედიცინო გამოკვლევა, სკოლაში შემოდებული სახელობო სწავლება, სადაც ბავშვები სწავლობენ: სტილისტის პროფესიას, კერვას, კომპიუტერის შემსწავლელ კურსებს.

დაცულია მოსწავლეთა გენდერული თანასწორობის უფლებები, კერძოდ, ყველა მოსწავლე თანაბრად გადაინაწილებს სკოლა-პანსიონში არსებულ საჭიერებებს, განურჩევლად ასაკისა და სქესისა.

აღნიშნული დაფინანსებით მოპოვებული აქტივობები და რესურსები ხმარდება არამარტო სკოლის შიგნით არსებულ სასკოლო საზოგადოებას არამედ მთლიანად თემს, რაც მნიშვნელოვანია დემოკრატიული და აქტიური მოქალაქეების ჩამოყალიბებისათვის. მიზანი: პანსიონური მომსახურების ხარჯზე სხვადასხვა სიკეთებით ასევე ისარგებლოს სკოლის სხვა მოსწავლეებმაც, რომელსაც პანსიონის ტიპიდან გამომდინარე უწევს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები. (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის).

3.5. სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი) (პროგრამული კოდი 04 05)

აღწერა: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 12 დასახელების წრე: ნორჩ-მათემატიკოსთა, მხარეთმცოდნეობის, ინგლისური ენის შემსწავლელი, ხატვის, ლიტერატურული თეატრის, ხეზე კვეთის, მაკრამეს, ხალხური სიმღერებისა და საკრავების, საესტრადო სიმღერის, საეკლესიო საგალობლების კინომოყვარულთა წრეები, აგრეთვე სპეციალური საჭიროების ბავშვთა ჯგუფი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული მუკალური სტუდია „ჰარმონია“. წრეებში ბავშვები გაერთიანებული არიან თავისი სურვილის მიხედვით. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიზანია ხელი შეუწყოს არაფორმალური განათლების პოპულარიზაციას, მოზარდთა შემეცნებით საგანმანათლებლო დონის ამაღლებას. ბავშვებში სამოქალაქო ცნობიერების და თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბებას.

მიზანი: პიროვნების ინდივიდუალური უნარ-ჩვევებისა და ნიჭის გამოვლენა-განვითარება, პროფესიული არჩევანის ხელშეწყობა, სპეციალური საჭიროების მოზარდთა საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის საჭირო პირობების შექმნა, საჯარო სკოლებთან, სასწავლო-სააღმზრდელო, კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივად პარტნიორული პროექტების განხორციელება.

დაცულია მოსწავლეთა გენდერული თანასწორობის უფლებები, კერძოდ, ყველა მოსწავლე თანაბრად გადაინაწილებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში არსებულ საჭიერებებს, განურჩევლად ასაკისა და სქესისა.

(გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის).

4. პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა/ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2 848,7
